გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 19

2023 წლის 13 იანვარი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნეს" (ს/ნ 417873849) 2022 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნეს" (ს/ნ 417873849) 2022 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნეს" (ს/ნ 417873849) 2022 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ გორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი „გორის მაცნე“

გორის მაცნე

N(p)lb Gori Municipality
newspaper
“Goris matsne”

გორი, 1400, სტალინის ქ. №16, ტელ: 0370 273483

#39 26 დეკემბერი 2022 წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულის
თავმჯდომარეს ბატონ დავით რაზმაძეს

თქვენი წერილის - **21-21223468** პასუხად წარმოგიდგენთ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ ,,გორის მაცნეს“ 2022 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიშს.

2022 წლის 1-ლი იანვრიდან დღემდე, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნე“ ფუნქციონირებდა შეუფერხებლად. ბეჭდვური გამოცემა, ყოველკვირეული გაზეთი ,,გორის მაცნე“ და ა(ა)იპ-ის ელექტრონული ვერსია - საინფორმაციო პორტალი GMnews.com.ge, უწყვეტ რეჟიმში აწვდიდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ყველა საკითხზე ობიექტურ, ამომწურავ ინფორმაციას როგორც საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ასევე მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ, სოციალურ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებზე, არსებულ პრობლემებზე და ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობასთან, რეკომენდაციებთან და რეგულაციებთან დაკავშირებით.

მიმდინარე (2022) წლის განმავლობაში (ისევე, როგორც გასულ წლებში), ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ ,,გორის მაცნეს“ არცერთ თანამშრომელს არ უსარგებლია ფასიანი მივლინებით, არცერთ თანამშრომელს არ აუღია დანამატი/პრემია, არასაკმარისი ფინანსების გამო, ა(ა)იპ-ის არ ჰქონდა გამოყოფილი საწვავის ხარჯი.

აქვე წარმოგიდგენთ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ ,,გორის მაცნეს“ 2022 წლის ფინანსურ ანგარიშს

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ 2022 წლის ფინანსური ანგარიში

2022 წელს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით, ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ პროგრამების შესრულების მიზნით, გამოყოფილია 72000 ლარი, რაც კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. მუხლი „შრომის ანაზღაურება“ (8 საშტატო ერთეულზე) - 63166 ლარი;
2. მუხლი „საქონელი და მომსახურება“ - 8834 ლარი, რაც თავის მხრივ მოიცავს:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1200 ლარი

ოფისის ხარჯებს - 7509 ლარი,

3. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 125 ლარი

2022 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული თანხა გაიხარჯა შემდეგნაირად:

1. „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან, ხელფასის სახით, 8 ძირითად საშტატო ერთეულზე საანგარიშო წლის განმავლობაში გაცემული იქნა 63166 ლარი.

2. „საქონელი და მომსახურებისთვის“ მიღებული 8834ლარიდან

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1200 ლარი,
- საოფისე ხარჯებმა შეადგინა 7507,21 ლარი

მ/შ.

1. საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა - 107,50 ლარი
2. ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები - 5544 ლარი
3. მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა - 245 ლარი (ტელეფონის და ფაქსის აპარატი - 65 ლარი, სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი - 180 ლარი)
4. საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი - 330 ლარი
5. კავშირგაბმულობის ხარჯი - 1212 ლარი
6. კომუნალური ხარჯი - 68,71 ლარი

3. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი - 125 ლარი.

საკასო ხარჯმა 2022 წლის იანვრიდან დღემდე შეადგინა - 71998,21 ლარი.

ა(ა).ი.პ გორის მუნიციპალიტეტის
გაზეთ გორის მაცნეს დირექტორი ი.თინიკაშვილი